ჯანმრთელი გული — ლამაზ სხეულში

ხშირად ხდება ჩვენს ცხოვრებაში, როცა რაიმე დაავადება ან სხეულის ფიზიკური ნაკლი ძალიან რთულად დასაძლევი გვეჩვენება ხოლმე. უფრო ძნელი წარმოსადგენია, რომ გამოგონება, რომელიც ჩვენს თანამემამულეს ეკუთვნის და რომელიც წლების წინ როგორც ფანტასტიკა, ბევრი ექიმისათვის დაუჯერებელი იყო, უკვე მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებმა აღიარეს. ბატონი **ლერი ლაფანაშვილის** მიერ მიკვლეულმა მეთოდმა და უნიკალურმა აპარატმა საოცრება უკვე მოახდინა. გულის დაავადებები და თქვენ წარმოიდგინეთ, სხეულის გარკვეული ნაკლიც კი ლერი ლაფანაშვილის გამოგონების წყალობით ადვილად დასამარცხებელი გახდა. იმ შედეგების გარდა, რომელიც გულის დაავადებების მქონე პაციენტებმა მიიღეს, კიდევ ერთი არაჩვეულებრივი უნარი აღმოაჩნდა „კარდიოლას“. ის კუნთებს ავარჯიშებს, მოჰყავს ტონუსში და ამის ხარჯზე ცხიმოვანი ქსოვილის უკუგანვითარებას უწყობს ხელს.

ქალბატონებს, რომლებსაც სხეულის გარკვეულ ნაკვთებს ჭარბი ცხიმი უმახინჯებდათ, ამ აპარატის წყალობით შეუძლიათ მშვიდად დაიბრუნონ ნატიფი გარეგნობა.

შედეგი თავისთავად მეტყველებს აღმოჩენის ხარისხზე.

მაინც როგორ მუშაობს მისი მართლაც სასწაულმომქმედი აპარატი?.. ბატონი ლერი გვიამბობს:

— ეს არის კარდიოსინქრონიზებული ელექტროსტიმულატორი. აღმოჩნდა, ამ აპარატის მოქმედებით, კუნთი ძლიერდება, ცხიმი, რომელიც კუნთზეა, ილევა. ესე იგი ეს მეთოდი შეიძლება გამოიყენო სხეულის დასახვეწად. საჭიროა არა ქირურგიული ჩარევა, არამედ სრულიად უმტკივნეულო პროცედურების მიღება..

— დღეს რეკლამირებულია ბევრი ელექტროსტიმულატორი, რომელიც გახდომაში ეხმარება ადამიანს.

— ასეთი აპარატი უამრავია. სოლიდური ფირმები იმასაც წერენ ინსტრუქციაში, (სულ 2-3 სოლიდური ფირმა არსებობს, ამ ხელსაწყოებს რომ უშვებს), თუ გულის პათოლოგია გაქვთ, გამოყენებისაგან თავი შეიკავეთ, ან მიმართეთ ექიმსო. გულის პათოლოგიებზე ელექტროსტიმულატორის გამოყენება მართლაც ძალიან საფრთხილოა. ჩემი აპარატი კი პირიქით, გულის პათოლოგიების სამკურნალოდ შეიქმნა და გამოიყენება. (ამის შესახებ უკვე გიამბეთ „კვირის პალიტრის“ 2 ივნისის ნომერში). პარალელურად მას სხეულის კორექციაც შეუძლია. ის პაციენტი, რომელიც სხეულის კორექციის მიზნით იტარებს პროცედურებს, თავისდაუნებურად გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკასაც ახდენს. მხოლოდ ეს კი არა, ამ მეთოდით ვეგეტატიური ნერვული სისტემა ბალანსირდება და პაციენტი სტრესისაგან მეტად დაცული ხდება. ეს შეიძლება აღვიქვათ როგორც ანტისტრესული თერაპია.

— ითხოვთ თუ არა რაიმე გამოკვლევას სხეულის კორექციის მსურველთათვის?

— ცხადია, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა სრულად უნდა ვიცოდეთ. თუ საჭიროა, ვაგზავნით დამატებით გამოკვლევაზე. როცა მისი ჯანმრთელობის ნათელი სურათი გვექნება, გაცილებით რაციონალურად შევურჩევთ პროცედურებს, რომ ერთდროულად მოხდეს ზემოქმედება დაავადებაზეც და სხეულის ფორმაზეც.

— ცოტა დაუჯერებელი ხომ არ არის, რომ ერთი მეთოდით ამდენი სარგებლობა შეიძლება მიიღოს ადამიანმა?

— ხშირად მისვამენ ამ კითხვას. პანაცეა არ არსებობს ამქვეყნად, ჩემი მეთოდიც არ არის პანაცეა. მისი ახსნა მარტივად შემიძლია. (იხილეთ სურათი 1) პირობითად რომ წარმოვიდგინოდ სამკუთხედი, რომლის თავშიც მოცემულია გული, ფუძეს კი წარმოადგენს კუნთი და ცხიმი. ეს ნაწილები ფუნქციურად არიან ერთმანეთზე დამოკიდებული. ნავარჯიშებ ადამიანს (არ მაქვს მხედველობაში პროფესიონალი სპორტსმენი), არ აწუხებს ჭარბი წონა, აქვს ჯანმრთელი გული და ღამაზი სხეული. ცხიმი და განსაკუთრებით ვისცერალური (შინაგანი ორგანოების ცხიმი) პირდაპირ ნეგატიურ გავლენას ახდენს გულის მუშაობაზე. ჭარბცხიმიანი ადამიანისათვის ფიზიკური დატვირთვა კი კარგია, მაგრამ მისი სხეული ძნელი ასამოძრავებელია, ამიტომ თავს იჩენს სიზარმაცე. გულს კი აუცილებლად სჭირდება დახმარება, რომელსაც „კარდიოლა“ -ს საშუალებით მიიღებს.



სურათი 1

სხეულის კორექცია აბსოლუტური შედეგით მთავრდება არა ზედმეტად გასუქებულ ადამიანთან, არამედ მასთან, ვისაც აქვს ნაკვთობრივი სიმსუქნე.

— რა უპირატესობა აქვს ამ მეთოდს დღეს არსებულ მეთოდებთან — ვარჯიშთან, დიეტასთან შედარებით?

— დიეტით და ვარჯიშით ვერ მიიღწევა ლოკალური, ადგილობრივი ცხიმოვანი დეფორმაციების კორექცია. დიეტაც და ვარჯიშიც ახდენს ზოგად გავლენას და პირველ რიგში, ეს ვლინდება წონის დაკლებით, რასაც თან არ ახლავს ის ლოკალური შედეგი, რისთვისაც დაიწყო დიეტა. მაგალითად, ქალბატონების 80%-ს აწუხებს დუნდულო-ბარძაყის და მუცლის არის ცხიმოვანი დეფორმაცია. თუ დაიწყებენ დიეტითა და ვარჯიშით კორექციის მცდელობას, გაუხდებათ ჯერ სახე და მკერდი, რომელიც აშკარად კარგავს ფორმას, და ბოლოს, დიდი გულისსხმევის შემდეგ ხდება ის საპრობლემო ადგილები.

— ამ მეთოდს უკუჩვენება ხომ არ აქვს?

— ხშირად მოდიან ქალბატონები, რომლებსაც აქვთ საშვილოსნოს ფიბრომა, მიომა. ამ დაავადებებზე „კარდიოლას“ გამოყენება უკუნაჩვენებია კორექციის თვალსაზრისით, თორემ გულის სამკურნალოდ მათზეც შეიძლება „კარდიოლას“ გამოყენება. ყველა სხვა შემთხვევაში პირდაპირი უკუჩვენება არ არის. ეს მეთოდი კარგია კარდიოლოგიაში, ანგიოლოგიაში, ნევროლოგიაში, გინეკოლოგიაში, სექსოლოგიაში (ქალებში ამას ძალიან კარგი შედეგი აქვს) და ესთეტიკურ მედიცინაში. შედეგების მიხედვით დაინტერესდნენ ინვესტორები. მიმიწვიეს შვეიცარიაში. ჩამოვაყალიბეთ კომპანია „კარდიოლა“, რომლის მეშვეობით ჩავატარე კვლევები.

ის შედეგები, რაც საქართველოში



სურათი 2

მქონდა — 628 პაციენტი და მოხალისე მყავდა გამოკვლეული და ნამკურნალები, გამდიდრდა. შვეიცარიაში 7 წლის განმავლობაში კიდევ 32 დიდი კვლევა ჩატარდა. აქედან სამი კვლევა, კერძოდ სხეულის კორექციას შეეხებოდა. ერთ-ერთი მათგანი გრანტის საფუძველზე შვეიცარიის სახელმწიფომ დააფინანსა.

— რა შედეგები გაქვთ დღეს და რას შეიძლება ველოდოთ?

— დაკვირვებებზე დაყრდნობით, შეიძლება დასკვნები გავაკეთოთ. პაციენტი რომ მოდის, დეტალურად ვსწავლობთ მის სხეულს, ვწონით და ვზომავთ. მონაცემები შეგვყავს ტაბულაში და 15-საათიანი კურსის შემდეგ მიღებულ შედეგს თავიდანვე 90% სიზუსტით ვეუბნებით. პროცედურების დამთავრების შემდეგ თუ წონის სხვაობა გვაქვს მხოლოდ ნახევარი კილო მაინც, წინასწარ განსაზღვრულ შედეგს ვიღებთ. თუ წონაში მეტი სხვაობაა, შედეგი უკეთესი ხდება.

— მხოლოდ ნახევარი კილო არა მგონია ვიზუალურად ვინმეს დაეტყოს..

— მართალი ბრძანდებით. წონა და მოცულობა სხვადასხვა რამ არის. ჩვენ ზემოქმედება გვაქვს კუნთებზე და ცხიმზე, რომელიც უნდა განილიოს. საუბარია არა კილოგრამებზე, არამედ კუბურ სანტიმეტრებზე და უფრო ზუსტად ლიტრებზე. საპრობლემო სხეულის უბანს მოსცილდება ლიტრი, ლიტრანახევარი მოცულობა, შემცირდება მისი ზომა. ვინაიდან ეს განლეული ცხიმის ხარჯზე ხდება, რომელიც ძალიან მსუბუქია. ამიტომ მის წონაზე ეს დიდ გავლენას არ მოახდენს, მაგრამ ვიზუალურ ეფექტს მოგვცემს.

— 1 კურსი საკმარისია?

— ძნელია რამის თქმა. პაციენტმა უნდა მიაღწიოს შედეგს, ზოგი პაციენტი ზედიზედ 4 კურსსაც იტარებს. 15-საათიანი კურსი შეიძლება ერთ დღეშიც ჩატარდეს. მაქსიმალური დრო 5 დღეა — სამი საათი დღეში. ამ პროცედურების შედეგი თავისი სისწრაფით ანალოგიურია ქირურგიულ ჩარევასთან, მაგრამ უსისხლოდ. ნებისმიერი ოპერაციის შემდეგ პაციენტი რეაბილიტაციას გადის 2 თვე მაინც. ჩვენთან 2 თვის მკურნალობის შემდეგ არანაკლები შედეგი მიიღწევა, პლუს ამას გულისა და კუნთების გამაგრებაც...

— ხომ არ არის საშიშროება, რომ პროცედურების დამთავრების შემდეგ სხეულმა ძველი ფორმა დაიბრუნოს?

— ლოზანის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებული პლაცებო-კონტროლირებადი კვლევის შედეგად დამტკიცდა, რომ მიღებული შედეგები იმისი იდენტური იყო, რასაც ვპირდებოდით პაციენტებს. პროცედურების დამთავრების შემდეგ, როცა ქალბატონები ჩვეულებრივ ცხოვრებას ეწეოდნენ, შედეგი კიდევ უფრო ვითარდებოდა (იხილეთ სურათი 2). ჩემი გამოცდილებით მიღებული შედეგები რეკომენდაციების გათვალისწინებით ხანგრძლივად უნარჩუნდებათ. თუ წელიწადში ერთხელ მაინც მოგვაკითხავს ქალბატონი კურსის ჩასატარებლად. ეს იმისი საწინდარია, რომ მუდმივად კარგ ფორმაში იქნება.

მისამართი: თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 27
ტელ: 998 277
კლინიკა „კარდიო-სტილი“

R